# მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების პროექტი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, საქართველო

***საარსებო გარემოს აღდგენისა და განსახლების ჩარჩო დოკუმენტი (LRRF)***



აპრილი 2015

Green Partners
environmental consulting

შინაარსი


**1.** პროექტის არსი .......... **4**

**2.** ანგარიშის მიზანი/სფერო .......... **4**

**3.** განმარტებები და ტერმინები.......... **5**

**4.** საკანონმდებლო ბაზა.......... **6**

**4.1. საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნები საარსებო გარემოს აღდგენისა და განსახლების საკითხზე .......... 6**

**4.2. ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის დებულებები მიწის შეძენა, იძულებითი განსახლების და ეკონომიკური ადგილმონაცვლეობაზე.......... 8**

**4.3. საქართველოს კანონმდებლობასა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის დებულებებს შორის არსებული განსხვავებების ანალიზი .......... 9**

**5.** პროექტის ზემოქმედების არეალი და დაზარალებული პირები.......... **12**

**5.1. პროექტის ზემოქმედების არეალი .......... 12**

**5.2. სოციალური გავლენის შეფასება რომელიც იწვევს** გავლენას საარსებო გარემოს აღდგენისა და განსახლების ჩარჩო დოკუმენტის შემუშავებაზე.......... **14**

**5.3. პროექტის გავლენის ქვეშ მყოფი პირები (PAPs) .......... 14**

**6.** საარსებო გარემოს აღდგენისა და განსახლების ძირითადი პრინციპები.......... **16**

**7.** საკომპენსაციო მატრიქი და შეთავაზებული ალტერანტივების აღწერა .......... **17**

**7.1. საკომპენსაციო მატრიქსი .......... 17**

**7.2. შეთავაზებული ალტერნატივების / კომპენსაციის ვარიანტების აღწერა .......... 24**

**8.** განხორციელების სქემა.......... **27**

**8.1. როლები და პასუხისმგებლობები.......... 27**

**8.2. დროის გრაფიკი .......... 28**

**8.3. ბიუჯეტი.......... 28**

**9.** დავის მექანიზმი .......... **31**

**10.** მონიტორინგი და შეფასება.......... **33**

**დანართი 1. საზოგადოვბერივი დავის ფორმა .......... 38**

## აბრივიატურები

ESIA – გარემოს და სოციალური გავლენის შეფასება
ESAP – გარემოს და სოციალური სამოქმედო გეგმა
SEP - დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმა
SIA - სოციალური გავლენის შეფასება
LRF - საარსებო გარემოს აღდგენის ჩარჩო დოკუმენტი
RAP - განსახლების სამოქმედო გეგმა
MFE - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო
EBRD - ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი
PIU - პროექტის განმხორციელებელი ერთეული
GRC - საჩივერბის განხილვის კომისია

## გრაფიკების სია


გრაფიკი 5-1. ბათუმის ნაგავსაყრელი I ........ 12
გრაფიკი 5-2. ქობულეთის ძველი ნაგავსაყრელი ........ 13
გრაფიკი 5-3. ცეცხლაურში ახალი ნაგავსაყრელის მდებარეობა ........ 14
გრაფიკი 8-1. განხორციელების ნაბიჯები ........ 28


## ცხრილების სია


ცხრილი 4-1. საქართველოს კანონმდებლობისა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის დებულებების შედარებითი ანალიზი ........ 9
ცხრილი 5-1. პროექტის გავლენის ქვეშ მყოფი პირები - ქართული კანონმდებლობა ........ 15
ცხრილი 5-2 პროექტის განლენის ქვეს მოყოფი პირები - EBRD დებულებები ........ 15
ცხრილი 7-1. ნარჩენების შემგროვებლების უფლების მატრიცა ........ 18
ცხრილი 7-2. მიწის აკვიზიცის მატრიქსი ცეცხლაურში ახალი ნაგავსაყრელისთვის ........ 19
ცხრილი 7-3. ვარიანტების ანალიზი ნარჩენების შემგროვებლებისათვის ........ 25
ცხრილი 7-4. პროექტის გავლენის ქვეშ მყოფი პირებისათვის მიწის აკვიზიციასთან დაკავშირებული ვარიანტების ანალიზი ........ 26
ცხრილი 8-1. LRRF ის პასუხისმგებელი ერთეული ........ 27
ცხრილი 8-2. გეგმა გრაფიკი LRRF ის შესრულებისთვის ........ 28
ცხრილი 8-3. კომპენსაციისათვის საჭირო სავარუდო ბიუჯეტი ........ 29
ცხრილი 10-1. საარსებო გარემოს აღდგენისინდიკატორების მონიტოორინგი (ნარჩენების შემგროვებლებისათვის ) ........ 34
ცხრილი 10-2. განსახლების და საარსებო გარმეოს აღდგენის ინდიკატორების მონიტორინგი პროექტის გავლენის ქვეშ არსებული პირების - მიწის აკვიზიცია ცეცხლაურში ........ 36

## 1. პროექტის არსი

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ახალი სანიტარული ნაგავსაყრელის მოწყობა, ასევე ძველი ნაგავსაყრელების დახურვა რეგიონის ძირითად ქალაქებში, გავლენას იქონიებს სხვადასხვა კატეგორიის სოციალურ ფენების საარსებოს აგრემოზე და განსახლებაზე, როგორიცაა მიწის მფლობელიებზე და მოსარგებლეებზე, ადგილობრივი მოსახლეობზე და ნარჩენების შემგროვებლებზე .

პროექტი დაიწყო 2005 წელს და თავდაპირველად ნაგავსაყრელისთვის ტერიტორია შერჩეულ იქნა ჩაქვში. ამ ტერიტორიაზე უარი იქნა თქმული სხვადასხვა მიზეზების გამო. მათ შორის ახალ გზასთან სიახლოვის და მოსახლეობის პროტესტის მიზეზით 2011 წელს. ახალი ტერიტორია შერჩეულ იქნა სოფელ ცეცხლაურთან ახლოს.

ხშირად გეოგრაფიული მდებარეობა არ იძლევა საშუალებას რომ ობიექტი შორს იყოს საცხოვრებელი ადგილებიდან, ცეცხლაურის ნაგავსაყრელის ტერიტორიაც ახლოსაა დასახლებულ პუნქტთან და ამიტომაც იყო გამოხატული პროტესტი ადგილობრივის მოსახლეობის მხრიდან. ადგილობრივი მოსახლეობა, ისინი ვინც ექვემდებარებიან განსახლებას (მხოლოდ ორი ოჯახი), სახლების მეპატრონეები, რომელთა სახლის საზღვარზე არიან ნაგავსაყრელის სანიტარულ ზონა, მიწით მოსარგებლენი, რომლებიც დაკარგავენ მიწის სარგებლობის შესაძლებლობას, და ჩვეულებრივ მოსახლეობა რომელთა სასოფლო სამეურნეო საქმიანობაზე გავლენას იქონიებს ნაგავსაყრელი და ასევე ყოველდღიური შემაწუხებელი ფაქტორის გავლენის ქვეშ მყოფი ადამიანები აღნიშნული ნაგავსაყრელის პროექტის გავლენის ქვეშ იმყოფებიან.

აჭარის ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტრო წარმოადგენს კლიენტს, რომელიც კარგად იცნობს პროექტს და მის გავლენას. პროექტის ზეგავლენის შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელების პროცესში ჩართული უნდა იყვენენ საზოგადოებრივი დაინტერესებული პირები და მიიღონ ტექნიკური დახმარება, რომ ეფექტურად განახორციელონ სამოქმედო გეგმა ადგილობრივი მოსახლეობის უწყვეტი ჩართულობით.

## 2. ანგარიშის მიზანი/სფერო

ეკონომიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი პრობლემები ხშირად მწვავდება მაშინ თუ პროექტის განვითარება იწვევს ხალხის იძულებით გადაადგილებას. იძულებით გადადგილებული პირები აღმოჩნდებიან უცხო გარემოში და უნდა იქნას გათვალისწინებული მათი ადაპტაციის პროცესი ახლა გარემოსთან, რომლის გაუთვალისწინებლობას შესაძლოა მოყვეს უარყოფითი დამოკიდებულება პროექტისადმი და შედეგი. სოციალური და საზოგადოებრივი სისტემა განიცდის ზეწოლას, რაც იწვევს შესაბამისი ჯგუფების რღვევას, ტრადიციულლი ღირებულებების ნგრევას, რომელიც დაკავშირებულია კულტურულ იდენტურობასთან, ასევე იწვევს კონფლიქტებს და კავშირშია სოციალური ფუნქციის კარგვასთან.

საარსებო გარემოს აღდგენისა და განსახლების დოკუმენტი მომზადებულ იქნა იმ მიზნით, რომ მხედველობაში იქნას მიღებული საქართველოს კანონმდებობის და EBRD ის მოთხოვნები პოტენციურ განსახლების და ეკონომიკურ გავლენის დასადგენად აჭარის რეგიონში ინიცირებული მყარი ნარჩენების მართვის პროექტის განხორციელებისას.

აღნიშნული ანგარიში მიზნად ისახავს წარმოადგინოს კომპენსაციის პირობები იმ ადამინებისათვის, რომლებიც პროექტის გავლენის ქვეშ აღმოჩნდნენ. ანაგარიში ასევე მოიცავს პროექტის გავლენის სფეროების და PAPs სების მოკლე აღწერას. ძირითადად არის ორი კატეგორიის საქმიანობა, რომელიც ახდენს პირდაპირ ან ირიბ გავლენას ადამიანების საარსებო გარემოზე და განსახლებაზე.

პირველი საქმიანობა შეეხება ძველი ნაგავსაყრელების დახურვას ბათუმსა და ქობულეთში. მეორე საქმიანობა ახალი ნაგავსაყრელის მოწყობა.

## 3. განმარტებები/ ტერმინოლოგია

- **სანიტარული ნაგავსაყრელი** - კონტროლირებული ტერიტორია ნარჩენებისთვის, რომელიც მოწყობილია საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად, ისე რომ აცილებულ იქნას ან მინიმუმამდე იქნას დაყვანილი გარემოზე და სოციალური გავლენა.
- **ნაგავსაყრელის აქტიური ნაწილი** - ნაგავსაყრელის ტერიტორია სადაც განთავსებულია ნარჩენები. ჩვეულებრივ ეს არის ნაგავსაყრელის ის ნაწილი, სადაც ნარჩენებისთვის უჯრებია განთავსებული.
- **ნაგავსაყრელის პერიმეტრი** – ნაგავსაყრელის ორგანული ნაწილი მთლიანად მონიშნული ტერიტორია, რომელიც შემოსაზღვრულია ღობით.
- **სანიტარული დაცვის ზონა** – ტერიტორია ნაგავსაყრელის გარშემო, რომელშიც დადგენილია კანონმდებლობით ან პასუხისმგებელი ორგანიზაციის მიერ, რათა შერბილებულ იქნას უარყოფითი ზეგავლენა ადამიანის ჯანმრთელობაზე. ამ ტერიტორიაზე მოქმედებს სხვადასხვა შეზღუდვები, როგორიცაა მაგალითად მშენებლობა. ტერიტორია ჩვეულებრივ განისაზღვრება მანძილით ნაგავსაყრელის გარშემო (დგინდება პასუხისმგებელი ორგანოს მიერ).
- **ბუფერული ზონა** – არის ფართობი ნაგავსაყრელის პერიმეტრის გარშემო, სადაც ჩვეულებრივ შეზღუდულია საქმიანობები (სასოფლო სამეურნეო, ინდუსტრიული, საცხოვრებელი მოწყობა და სხვა). ბუფერულ ზონაში მცენარეულობა იზრდება რათა შერბილდეს ვიზუალური და სუნის გავრცელებით გამოწვეული ზეგავლენა. ეს ტერიტორია შეიძლება იყოს ნაგავსაყრელის პერიმეტრის შიგნით ან გარეთ;
- **მიწათ მოსარგებლეები**– ადაიანები, რომლებიც ამუშვებენ მიწას მაგრამ არააქვთ ფორმალური მესაკუთრეობა. მიწით მოსარგებლეს შეუძლია მიწის გამოყენება იჯარის ხელშეკრულებით ან ისინი არიან რეგისტრირებული/ჩვეულებრივ მომხმარებელად (მუნიციპალიტეტის დონეზე არსებობს რეესტრი). **ამ ორი კატეგორიის გარდა არის კიდევ მოსარგებლეები რომლებიც ტრადიციულად იყენებდნენ მიწას მაგრამ ისინი არ არიან რეგისტრირებულნი მუნიციპალიტეტში და არიან არალეგალური მოსარგებლეები** ;
- **მიწის მფლობელი** - პირი ვინც ფლობს კანონიერ დოკუმენტს მიწის ფლობაზე. ისინი არიან ოფიცილაური მიწის მფლობელები ან ლეგალიზირებული მფლობელები. ეს **ბოლო კატეგორა მოიცავს მიწის მფლობელს, რომელსაც საკუთრებაში აქვს შენობა ნაგებობა ამ მიწის ნაკვეთზე და ჯერ არაა ოფიციალურად რეგისტრირებული. მხოლოდ ის მიწის ნაკვეთი შესაძლებელია ლეგალიზებულ იქნას სადაც არის სახლი.** ;
- **ნარჩენების შემგროვებელი - ადამიანები რომლებიც არიან დაკავებულნი რეციკლირებადი ნარჩენების სეპარირებით არსებულ ნაგავსაყრელზე ბათუმსა და ქობულეთში.** ;

  **პროექტის გავლენის ქვეშ მყოფი პირები - პროექტის საქმიანობით პირდაპირი ან არაპირდაპირი ზემოქმედების ქვეშ მყოფი ადამიანები ;საარსებო გარემოს აღდგენა - ღონისძიებები, რომელიც მიმართულია სხვადასხვა ადამიანების შემცირებული შემოსავლის აღდგენაზე იძულებითი განსახლება გულისხმობს როგორც ფიზიკურ გადაადგილებას (ადგილმდებარეობის შეცვლა ან თავშესაფრის დაკარგვა), ისე** ეკონომიკურ ადგილმონაცვლეობას (აქტივების ან რესურსების დაკარგვა და/ან აქტივების ან რესურსების წვდომის დაკარგვა, რაც იწვევს შემოსავლის წყაროების ან საარსებო საშუალებების დაკარგვას), პროექტთან დაკავშირებული მიწის შეძენის1 და/ან მიწის გამოყენების შეზღუდვის შედეგად **(EBRD ESP, 2014);**
- დაუცველი ჯგუფები - ნიშნავს იმ ადამიანებს, რომლებიც, გენდერული იდენტობის, ეთნიკური წარმომავლობის, ასაკის, უნარშეზღუდულობის, ეკონომიკურად არასახარბიელო მდგომარეობის ან სოციალური სტატუსის ნიშნით, შეიძლება პროექტის უფრო მეტად არასახარბიელო ზემოქმედების ქვეშ იყვნენ, ვიდრე სხვები, და რომლებსაც შეიძლება შეზღუდული უნარები ჰქონდეთ პრეტენზიის წარდგენის ან პროექტისგან სარგებლის მიღების თვალსაზრისით. დაუცველი ადამიანები და/ან ჯგუფები შეიძლება

ასევე შეიცავდეს ადამიანებს, რომლებიც ცხოვრობენ სიღარიბის ზღვარს ქვემოთ, უმიწაწყლოებს, მოხუცებს, ქალებს და ბავშვებს, დევნილებს, იძულებით გადაადგილებულ პირებს, ეთნიკურ უმცირესობებს, ბუნებრივ რესურსებზე დამოკიდებულ თემებს და სხვა პირებს, რომლებიც შეიძლება არ იყვნენ დაცული ეროვნული და/ან საერთაშორისო სამართლის ფარგლებში. (EBRD ESP, 2014).

# 4. საკანონმდებლო ბაზა

## 4.1. საქართველოს კანონმდებლობა, რომელიც არეგულირებს საარსებო გარემოს აღდგენას და განსახლებას

ქვემოთ ჩამოთვლილია საქართველოს კანონმდებლობა, რომელიც არეგულირებს სახელმწიფო საკუთრების უფლებას პრივატიზირებულ მიწის ნაკვეთებზე და ეხება საზოგადიებრივი საჭიროებისთვის დაგეგმილი პროექტების განხორციელებას და აქვს სტრატეგიული მნიშვნელობა:

(i) საქართველოს კონსტიტუცია, 24 აგვისტო 1995;
(ii) საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 26 ივნისი 1997;
(iii) საქართველოს კანონი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ, 2007;
(iv) საქართველოს კანონი სანოტარო საქმიანობის შესახებ, 4 დეკემბერი 2009;
(v) საქართველოს კანონი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე საკუთრების უფლების შესახებ, 22 მარტი, 1996;
(vi) საქართველოს კანონი ფიზიკური ან იურიდიული პირის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის საკუთრების აღიარების შესახებ, 2007;
(vii) საქართველოს კანონი საჯარო რეესტრის შესახებ (No820 –Iis) 19 დეკემბერი 2008 ;
(viii) საქართველოს კანონი საზოგადოებრივი საჭიროებებისათვის საკუთრების ექსპროპრიაციის წესის შესახებ, 23 ივლისი 1999;
(ix) საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი 14 ნოემბერი 1997 ;

საქართველოს კონსტიტუცია მიღებული 1995 წელს აწესებს ძირითად პრინციპებს რომელიც მართავს განსახლების პროცესს საზოგადოებრივ მნიშვნელოვანი პროექტებისთვის. პირველ რიგში ორგანული კანონი აწესებს საკუთრების უფლების ძირითად საფუძველს და ანიჭებს საკუთრების ხელშეუხებლობის უფლებას. საზოგადოების ინტერესის შემთხვევაში, სახელმწიფოს შეუძლია განახორციელოს მიწის და უძრავი ქონების ექსპროპრიაცია რაზეც გადსაწყვეტილება მიიღება სასამართლოს წესით.

სხვა ელემენტები, რომელიც მოცემულია კონსტიტუციაში ეხება ინფორმაციის გავრცელებას, საზოგადოებრივ კონსულტაციებს, საჩივრების მექანიზმს, კულტურული მემკვიდრეობის დაცვას, როდესაც ხორციელდება ექსპროპრიაცია/განსახლების პროცესი.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ადგენს პრინციპებს, რომელიც წარმოადგენს სამოქალაქო საკუთრების საფუძველს და მოიცავს საკუთრების უფლებას, საკუთრების დროებით გადაცემას სარგებლობისთვის, მეშენებლობის უფლებას, გზის გაყვანის და მომსახურეობის უფლებას. ქონების დროებითი ფლობა შესაძლებელია მიენიჭოს მეორე ადამიანს მესაკუთრის თანხმობით 59 წლის მანძილზე შეთანხმების საფუძველზე.

საქართველოს კანონი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრებასთან დაკავშირებით აღნიშნავს რომ საკუთრების უფლება შეიძლება მიენიჭოს სახელმწიფოს, ფიზიკურ პირს, ადგილობრივ მოსახლეობას და იურიდიულ პირებს. სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში, როგორც სასოფლო სამეურნეო კულტურების მოყვანის ან მეცხოვლეობის განვითარების მიზნით და ასევე მოიაზრებს შენობა ნაგებობის აშენებას ამ ტერიტორიაზე. სოფლად სათიბი, საძოვრები ან ტყის მასივი შეიძლება იყოს მიმდებარე მოსახლეობის საერთო საკუთრებაში (მეურნეობის/ოჯახის).

**ტერმინების განმარტება საკუთრების ლეგალიზაციის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად**
**კანონიარად მიწის მესაკუთრე (მოსარგებლე) - სახელმწიფო საკუთრებაში სასოფლო სმაეურნეო და არასასოფლო სამეურნეო მიწის ფართობი შენობა ნაგებობეით ან მის გარეშე** (აშენებული, ასაშენებელი ან დანგრეული) რომელსაც ფლობს ფიზიკური ან იურიდიული პირი და განკარგავს (ნაკვეთს ან შენობა/ნაგებობას) სანამ ეს კანონის შევიდოდა ძალაში, ასევე მითვისებული 1994 წლამდე და რეგისტრირებულია არქივში
**მითვისებული მიწა - სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი სასოფლო სამეურნეო ან არასასოფლო სამეურნეო მიწის ნაკვეთი საცხოვრებელი სახლით (აშენებული ან დანგრეული) ან არასაცხოვრებელი შენობა აშენებული სანამ კანონი შევიდოდა ძალაში, ასევე მითვისებული მიწა (ფორმირებული შენობით ან მის გარეშე)** დაინტერესებული პირის კანონიერად საკუთრებაში მყოფი მიწის ნაკვეთის მიმდებარედ, ისევე როგორც, მიტაცებული მიწა არასაცხოვრებელი შენობით მცირე ზომის და პრივატიზაციის წესით, დაინტერესებული პირის კანონიერად ფლობელობაში მყოფი მიწის ნაკვეთის მიმდებარედ და დაინტერესებულია საკუთრების აღიარებით და არაა სახელმწიფოს მიერ გამოყენებული, გარდა იმ შემთხვევებისა რაც მოცებულია პარაგრაფ (a) მოცემული მუხლის (ეს არის კანონიერი მფლობელის განმარტება).

სასოფლო-სამეურნეო მიწაზე აშენებული საცხოვრებელი შენობები და სხვა დამხმარე ნაგებობი და მოწყობილობები, საშიანო მეურნეობის მფლობელი ოჯახის წევრების საკუთრებაშია უფლების დაცვით და რეგისტრირებულია უძრავი ქონების.

საქართველოს კანონი საკუთრების ლეგალიზაციის შესახებ აწესებს მიწის მესაკუთრის ან მიწის მომხმარებლის ლეგალიზაციის პროცედურებს და აქცევს კანონიერ ჩარჩოში ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის. ლეგალიზაციის პროცესი ვრცელდება მხოლოდ იმ ნაკვეთებზე, სადაც არსებობდა საცხოვრებელი ან არასაცხოვრებელი შენობა ნაგებობები სანამ ეს კანონი შევიდოდა ძალაში ან მიწის მცირე ნაკვეთებზე, რომლების არის კანონიერი მიწის ნაკვეთის მიმდებარედ რომელიც ეკუთვნის ფიზიკურ ან იურიდიულ პირს.

უმრავლესობა სასოფლო-სამეურნეო მიწებისა არის სახლელმწიფო და რეგიონალური/ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრებაში იმ მიზნით რომ არ მოხდეს მიწის ფრაგმენტაცია, არარაციონალური გამოყენება და ამავე დროს გაუმჯობესდეს სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკა.

საჯარო საკუთრება და მიწის მართვის პროეცესში ხელისუფების როლი რეგულირდება საქართველოს კანონით სახელმწიფო ქონების შესახებ და ადგილობრივი თვითმმართვეობის კოდექსით. მუნიცპალიტეტებს აქვთ საკუთრება, რომელიც შეიძლება პრივატიზირებულ იქნას საჯარო აუქციონის წესით. ეს საკუთრება შესაძლებელია გამოყენებულ იქნას განსახლების ვარიანტების და ეკონომიკური ადგილმონაცვლეობისას განხილვისას ფიზიკური პირებისთვის.

*საქართველოს კანონი სოციალური დახმარების შესახებ (2006)* აწესებს მთავრ პრინციპებს რომელიც მართავს სოციალურ დახმარების პროცესს საქართველოში. ის ადგენს ვინ არის უფლებამოსილი მიიღოს სოცილაური დახმარება. ძირითადი კატეგორიები, რომელიც განსაზღვრულია კანონით მოიცავს ღარიბ ადამიანებს (სოციალური-ეკონომიკური სტატუსი დაბალია ვიდრე ეროვნული ღირებულების მინიმუმი), პირები რომლებიც საჭიროებენ განსაკუთრებულ მოპყრობას (ობლები, შზღუდული შესაძლებლობის პირები და სხვა) და უსახლკაროები რომლებიც საჭიროებენ რეგისტრაციას.

კანონი ასევე განსაზღვრავს პასუხისმგებლობის საკითხს ადმინიტრაციულ აპარატში და ფინანსური დახმარებას რომელიც არის გათვალისწინებული ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე. *საქართველოს კანონი შეზღუდული უნარის მქონე ადამიანების სოციალური დაცვის შესახებ (1995)* - მოიცავს

სპეციალურ პროგრამებს, რაც საშუალებას იძლევა ფინანსური დახმარება გაეწიოთ, როგორც პენსიის სახით ასევე შეღავათები სხვადსხვა სფეროში. ასევე საგანმანათლებლო/პროფესიული დახმარება და საზოგადოებაში მათი ინტეგრაციის მხარდაჭერას. *საქართველოს კანონი ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა - ლტოლვილთა შესახებ 2014* - ლტოლვილთა სტატუსი მიეკუთვნა მათ ვინც დატოვეს საკუთარი საცხოვრებელი ადგილი ოკუპაციის, სამხედრო კონფლიქტის, ძალადობის ან ადამიანთა უფლების დარღვევის გამო რომელიც უქმნიდა საფრთხეს ოჯახების კეთილდღეობას. ეს კანონი აწესებს პრინციპებს, რომელიც მხედველობაში უნდა იქნას მიღებული როდესაც მოხდება განსახლება ასეთი ოჯახების მათი საცხოვრებელი ადგილებიდან. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო პასუხისმგებელია დაეხმაროს იძულებით გადაადგილებულ პირებს.

**ექსპროპრიაციის პროცესი Expropriation process**

საქართველოში სამართლებრივი ჩარჩო უზრუნველყოფს კერძო საკუთრების ექსპროპრიაციის პროცესს საერთო საზოგადოებრივი ინტერესის მქონე პროექტის შემთხვევისთვის. პრაქტიკულად ექსპროპრიაციის პროცესს იშვიათად მიმართავენ (ხანგრძლივი პროცესის გამო), მას მიმართავენ მხოლოდ ექსტრემალური მდგომარეობის დროს, როდესაც შთანხმების მიღწევა შეუძლებელია მოლაპარაკების გზით პროექტის გავლენის ქვეშ მყოფ ადამიანებთან უცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ექსპროპრიაცია ხორციელდება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის (შემდგომში – მინისტრი) ბრძანებისდა სასამართლოს გადაწყვეტილებით რომელიც ადგენს საკუთრების მიმღებს (სახელმწიფო ადგილობრივი მმართველობა, საზოგადო და კერძო საწარმო) და ექსპროპრიაციისათვის განკუთვნილ მიწის.

კომპენსაცია გამოითვლება ფიზიკური აქტივების მიმდინარე საბაზრო ღირებულების შესაბამისად და არ მიიღება მხედველობაში შემოსავლის დანაკარგის ღირებულება. მხედველობაში არაა მიღებული საარსებო გარემოს აღდგენისათვის საჭირო ხარჯი და ასევე ხარჯი რომელიც საჭიროა დაზარალებული პირების განსახლების პროცეში დახმარებისათვის.

## 4.2. EBRD მოთხოვნები მიწის აკვიციის, იძულებით განსახლების და ეკონომიკური ადგილმონაცვლებისას

EBRD-ი აღნიშნული პროექტის განხორციელებისას ეყრდნობა 2008 წლის გარემოსდაცვის და სოციალური პოლიტიკის დოკუმენტს. იძულებით განსახლების საკითხი განიხილება აღიშნული დებულების მე-5 ნაწილის შესაბამისად. მე-5 ნაწილის ძირითადი საკითხები შემდეგია:

- ყველა შესაძლებლობა უნდა იქნას შესწავლილი პროექტის დაგეგმვის პროცეში რომ მინიმუმამდე იქნას დაყვანილი ფიზიკური ან ეკონომიკური ადგილმონაცვლეობა;
- მოლაპარაკება მოსახლეობასთან რათა თავიდან იქნას აცილებული ექსპროპრიაციის საჭიროება და აღმოიფხვრას მთავრობის მიერ ადამიანთა იძულებითი გადაადგილება;
- უარყოფითი სოციალური და ეკონომიკური გავლენა გამოწვეული მიწის აკვიიზიციით ან მიწის გამოყენების შეზღუდვა დაზარალებული ადამინების მიერ შერბილებულ უნდა იქნას: (1) აქტივების დაკარგვით გამოწვეული ზარალის კომპენსაციით, (2) განსახლების პროცესის დროული ინფორმირებულობით, კონსულტაციებით იმ ადამიანებტან რომელიც დაზარალებულნი არიან პროექტის;
- დაზარებულ პირთა საარსებო გარემო სტანდარტი უნდა გაუმჯობესდეს, ან აღდგეს იმ დონემდე რაც განსახლებამდე იყო.
- პროექტის გავლენის ქვეშ მყოფი ადამიანები, რომელთაც არააქვთ კანონიერი უფლება მიწაზე ისინი კომპენსაციას არ მიირებენ, თუმცა მათ უნდა მიიღონ კომპენსაცია იმ კონსტრუქციაზე რომელსაც ისინი ფლობენ და ასევე სხვა ნებისმიერ ხარჯზე, რომელიც გაწიეს მიწის დამუშავებისთვის.

- ყველა კატეგორიის დაზარებული პირი უზრუნველყოფილ უნდა იქნას საჭიროების შესაბამისი დახმარებით განსახლების პროცესში განსაკუთრებით მოწყვლად და დაუცველ ჯგუფები;
- გასაჩივრების მექანიზმი უნდა შემუშავდეს შეძლებისდაგვარად ადრეულ ეტაპზე რათა დროულად და ეფექტურად მოხდეს რეაგირება სპეციფიურ საკითხებზე, როგორიცაა კომპენსაცია და ადგილმონაცვლეობა, რომელიც გამოითქმება დაზარალებული ადამიანის მხრიდან ან მასპინძელი მოსახლეობის მხრიდან, მათ შორის მექნიზმი რომელიც შეძლებს დავის გადაჭრას მიუკერძოებლად.

## 4.3. საქართველოს კანონმდებლობის და EBRD - ის დებულებებს შორის შედარებითი ანალიზი

საქართველოს კანონმდებლობას აქვს ზოგადი საერთო ადეკვატურიი მიდგომა განსახლების საკითხებთან მიმართებაში, რაც გვიჩვენა EBRD ის დებულებებთან შდარებამ. ყველაზე მკაცრ ასპექტს წარმოადგენს ის საკითხები, რომელიც ეხება მიწის არაფორმალურ მოსარგებლეებს და იმ კომპონენტს რომელიც ეხება შემოსავალ/საარსებო გარემოს ამ პროცესში. ქვემოთ მოყვანილ ცხრილში აღნიშნულია ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტები, რომლებიც გვიჩვენებენ საქართველოს კანონმდებლობისა და EBRD ის დებულებით განსაზღვრულ მოთხოვნებს შორის განსხვავებებს.

ცხრილი 4-1. განსხვავება საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებსა და EBRD დებულებებს შორის

| გაანალიზებული საკითხი | საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნა | EBRD-ის მოთხოვნა | სხვაობა | გადაჭრის გზები |
|---|---|---|---|---|
| განსახლების ჩარჩო დოკუმენტის და სამოქმედო გეგმის განვითარება და განხორციელება | კანონის თანახმად ექსპროპრიაციის მოთხოვნა გამომდინარობს განსაზღვრული საზოგადოებრივი საჭიროებებიდან/ინტერესებიდან და შესაბამისად წინადადებები ექსპროპრიაციისათვის, უნდა მოიცავდეს დაწვრილებით სიას საკუთრებაში არსებული ქონებისა, რომელიც უნდა შესყიდულ იქნას, მათი მდებარეობა, ინფორმაცია ინდივიდების რომელთაც აქვთ კანონიერი უფლება ამ ქონებაზე. | EBRD'ის მე-5 დებულების თანახმად როდესაც იძულებითი განსახლება გარდაუვალია კლიენტი უკავშირდება კვლაიფიციურ სპეციალისტს რომლმაც უნდა აღწეროს სოციალურ ეკონომიკური საბაზისო მდგომარეობა მოცემული ტერიტორიისთვის და დაეხმაროს საარსებო გარემოს აღდგენისა და განსახლების გეგმის შემუშავებაში , (RAP და LRF) | არ არის აშკარად გამოხატული პასუხისმგებლობა განხორციელდეს სოციოეკონომიკური კვლევა ან მოხდეს განსახლების გეგმის შემუშავება | მომზადდეს საარსებო გარემოს აღდგენისა და განსახლების გეგმა |
| კომპენსაციის მიკუთვნება | მხოლოდ მათ ვინც არიან ფორმალური მესაკუთრეები ანდ ლეგალური მოსარგებლენი | გათვალისწინებულ უნდა იყვნენ მიწის ფორმალური და არაფორმალური მესაკუთრეები და მომხმარებლები | საკომპენსაციო პაკეტის მომზადებისას არაა გათვალისწინებული არაოფიციალური/არაფორმალური მოსარგებლეები | ოფიციალური აღიარება კომპენსაციისთვის იმ არაკანონიერ მიწის მოსარგებლეებს (პრეზიდენტის ბრძანებულებით ან მსგავსი დაგენილებით)<br><br>კომპენსაცია განხორციელდეს დაზარალებული პირის ყველა დანაკარგზე, მიუხედავად მისი სტატუსისა. |
| ურთიერთო | მოლაპარაკება მხოლოდ | ადგილობრივ | არ არის მკაფიოდ | დაინტერესებულ |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ზა და კონსულტაციები | მიწის მესაკუთრეებსა და სახელმწიფოს წარმომადგენლებს შორის მიწის შესყიდვისას / აკვიზიციაზე<br><br>(a) კონსუტირების პროცესი ასევე მოიცავს გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცესს. რაც შემოიფარგლება მხოლოდ ერთი დებატებით. | მმართველოსბის ორგანოებთან კონსულტაციები მატრიქსთან დაკავშირებით, კომპენსაციის ღირებულებაზე და ღირებულების შეფასების მეთოდოლოგიაზე. | გამოხატული მიზანმიმართული კონსულტაციები ყველა დაზარალებულებ თან (PAPs) განსახლების სამოქმედო გეგმის შემუშავებისა და განხორციელებისას | მხარეთა ჩართულობის გეგმა და განსახლების სამოქმედო გეგმა უნდა მოიცავდეს საჯარო კონსულტაციებს და საინფორმაციო კამპანიებს |
| საარსებო გარემოს/შემოსავლის წყაროს დაკარგვა | ერთადერთი კანონი რომელიც ეხება კომპენსაციის საკითხს ექსპროპრიაციის კანონი. ამ კანონში არის მუხლი რომელის ეხება შემოსავლის კარგვას, კანონი ითვალისწინებს მხოლოდ ფულად კომპენსაციას. ამავე დროს ეხება მხოლოდ კანონიერ მესაკუთრეებს. | დებულება შეეხება გაუმჯობესდეს ან სულ ცოტა მოწესრიგდეს საარსებო გარემო/შემოსავალი დაზარებული პირების/ბიზნესის | არცერთი დებულება არ ეხება აღდგენას შემოსავლის / საარსებო გარემოს პირობების პროექტის განხორციელებამდე ასევე ყურადღების მიღმაა დარჩენილი განსაკუთრებულა დ საყურადღებოს მოწყვლადი ჯგუფები | გათვალისწინებულ უნდა იქნას კომპენსაციები შემოსავლის/საარსებო გარემოს დაკარგვისთვის განსახლების სამოქმედო გეგმაში გავლენის სიმძაფრეზე დაფუძნებით, როგორც განსაზღვრულია არსებული ამ ჩარჩო დოკუმეტით |
| გადასვლის და სხვა ტიპის ხარჯები, რომელიც თან ახლავს ადგილმონაცვლეობას | კანონმდებლობით გათვალისწინებულია მხოლოდ ქონების ღირებულების კომპენსაციას | **ყველა ხარჯი გაწეული განსახლების პროცესში უნდა დაფრულიქნას პროექტის მიერ.** | ეროვნული კანონმდებლობა არ ითვალისწინებს კომპენსაციას ასოცირებული ხარჯისას (ტრანსპორტი, ახალი მიწის გადაცემის ხარჯები) | კომპენსაცია და დახმარება უნდა გაეწიოს დაზარალებულ პირს იმს საქმიანობაზე რომელის მოყვება აკვიზიციის პროცესს. |
| გასაჩივრების მექანიზმი | კანონი არ ითცვალისწინებს ხდაზარებული მოქალაქის უფლება ს (მათი ვისაც ფორმალური უფლება) მიმართოს სასამართლოს ექსპროპრიაციის ნებისმიერ ეტაპზე | გასაჩივრების მექანიზმი უნდა იქნას ჩამოყალიბებული კლიენტის მიერ რამდენადაც შესაძლებელია ადრეულ ეტაპზე, მიიღო და რეაგირება მოახდინო სპეციფიურ უკმაყოფილებებზე კომპენსაციებთან და ადგილმონაცვლეობასთან დაკავშირებით, რომელიც აღძრული იქნება დაზარალებული პირების მიერ, მექნიზმის ჩართვით რომლის შესაბამისადაც მოხდება დავის გადაჭრა ერთმნიშვნელოვნად. შჯამებული საჩივრები და ღონისძიებები მათ გადასაჭრელად უნდა გახდეს საჯარო რეგულარულად. | არ არის სპეციფიური მოთხოვნა რომ ჩამოყალიბდეს დამოუკიდებელი გასაჩივრების მექანიზმი, როგორც ექსპროპრიაციის შემთხვევაშია საქართველოს კანონმდებლობით. | განისაზღვროს სპესიფიკური გასაჩივრების მექანიზმი RAP/LRF - დოკუმენტებში, პროექტის ზომიდან გამომდინარე ან დაზარალებული ოჯახების მოწყვლადობის სტატუსის შესაბამისად. ჩართულ უნდა იქნას შესაბამისის ინსტიტუციები. |
| განსახლების სამოქმედო გეგმის მონიტორინგი და | მონიტორინგის პროცედურები მოცემულია მხოლოდ ექსპროპრიაციის პროცესისთვის | განსახლების გეგმაში უნდა შემუშავდეს პროცედურები ისე რომ განხორციელდეს მონიტორინგი და შეფასება და დაკორექტირდეს საჭიროებების მიხედვით | საერთოდ არაა ექსპროპრიაციის/განსახლების / საარსებო გარემოს აღდგენის პროცესის | მონიტორინგის განხორციელება განსაზღვრულია განსახლების და კომპენსაციის დოკუმენტში (თავი 8) და |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| შეფასება | | | მონიტორინგის მოთხოვნა საქართველოს განონმდებლობაში | შესაძლებელია განხილულ იქნას და ჩაემატოს დეტალურად RAP/LRF დოკუმენტებში |

# 5. პროექტის ზემოქმედების არეალი და გავლენის ქვეშ მყოფი პირები

## 5.1. პროექტის გავლენის არეალი

მიმდინარე მისიის დროს კონსულტანტებმა მჭიდროდ იმუშავეს ა/რ ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროს რომ დაედგინათ არეალი (სფერო), რომელზეც პროექტი ახდენს გავლენას. არსებული დოკუმენტაციის საფუძველზე, ჩვენი დაკვირვებით და კლიენტის აზრით პროექტი გავლენას ახდენს შემდეგზე:

a) არსებული ნაგავსაყრელების დახურვა ბათუმში და ქობულეთში - ამ პროცესში პროექტის გავლენის არეალი შეზრუდულია და მოიცავს არსებული ნაგავსაყრელის პერიმეტრს და დამოკიდებულია დახურვის მეთოდებზე, როგორიცაა 5-10 მეტრის მიმდებარე ზონა სადაც რეკონსტრუქციის სამუსაობის განხორციელებისას მოხდენს დროებით გავლენას.

**ბათუმის ნაგავსაყრელი**

ბათუმის ნაგავსაყრელი შდგება 2 ნაწილისაგან, ჩრდილო ნაწილი რომელიც მოქმედია და სამხრეთ ნაწილი რომელიც 2002 წლიდან დახურულია. ოფიციალური დოკუმენტების შესაბამისად რომელიც მოწოდებულ იქნა კლიენტის მიერ ბათუმის ნაგავსაყრელის დახურვასთან დაკავშირებით, შემდეგი სამიანობები უნდა განხორციელდეს:

- მოექცეს საზღვრებში (მოხდეს მისი ფორმირება) ნაგავსაყრელი;
- გადაიფაროს ნარჩენი მინიმუმ 1მეტრი წაყლგაუმტარი ფენით;
- გადაიფაროს 10 სმ ნაყოფიერი მიწის ფენით;
- მოეწყოს გაზის სადრენაჟო და ოქსიდირების ბიო ფილტრები .




სქემა 5-1. ბათუმის ნაგავსაყრელი

კლიენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით დაყრდნობით, ჩრდილო ნაწილი ბათუმის ნაგავსაყრელის უკვე იყო დახურული 2002 წელს. მომავალი ფორმირების და წყალგაუმტარი ფენით

გადაფარვა არ იგეგმება ამ ტერიტორიაზე. მხოლოდ მომქმედი ტერიტორია იქნება დახურული შესაბამისი წესით, როდესაც ახალი ნაგავსაყრელი დაიწყებს ოპერირებას.

### ქობულეთის ძველი ნაგავსაყრელი




სქემა 5-2. ქობულეთის ძველი ნაგავსაყრელი

**ქობულეთის დროებითი ნაგავსაყრელი**
ნაგავსაყრელი მდებარეობს მოშორებულ ადგილას და 5 სახლია ტერიტორიის გარშემო იმ გზაზე რომლითაც ნაგავსაყრელი მთავარ გზას უკავშირდება. ნაგავსაყრელი შედარებით მცირე ზომისაა და კარგად ორგანიზებული. ამ დროისთვის ტერიტორია არაა შემოღობილი.რამდენიმე ძროხა იყო ნაგავსაყრელზე ვიზიტის დროს და ერთი ოჯახი არჩევდა ნარჩენებს. სახლებში რომელიც განლაგებულნი არიან შესავლელთან განთავსებული იყო რეციკლირებადი ნარჩენები. აღნიშნული ამტკიცებს რომ ამ სახლში მაცხოვრებელნიც დაკავებულნი არიან ნარჩენების შეგროვება გადარჩევით ნაგავსაყრელზე.

b) ახალი ნაგავსაყრელის მშენებლობა (დამხმარე ნაგებობის ჩათვლით) ცეცხლაურში. ის მოიცავს ნაგავსაყრელის პერიმეტრს, ნაგავსაყრელის სანიტარულ ზონას და მიწა რომელზეც იქნება განთავსებული დამხმარე მოწყობილობები (მისასვლელი გზა, ელექტრო ენერგია, გაზი). რუკაზე ქვემოთ ნაჩვენებია პროექტის ტერიტორია. სამწუხაროდ ჩვენ ვერ მოგვაწოდეს რუკა, რომელზეც ნაჩვენებია მისასვლელი გზა ახალ ნაგავსაყრელზე. იგი დაემატება ნახაზზს როდესაც მოეწყობა.

ნაგავსაყრელის პერიმეტრი (შემოღობილი ტერიტორია) სრულად მოიცავს 27.7 ჰა-ს, რომლიდანაც 15.7 არის ნაგავსაყრელის ძირითადი ნაწილი (ლურჯი და თეთრი ფერის ტერიტორია რუკაზე). ჟოლოსფერი ტერიტორია გარშემო არის ბუფერული ზონა. ეს არის ზედაპირის ფართობი 11.6 ჰა. ლურჯი ნაწილი რუკაზე წარმოადგენს ნაგავსაყრელის სანიტარულ ზონას (500 მ ნაგავსაყრელის ძირითადი ნაწილის ირგვლის). სრული ნაგავსაყრელის ფართობი თავისი სანიტარული და ბუფერული ზონით 176.6 ჰა-ს შეადგენს.

მიწის აკვიზიციის პროცესი უნდა მოიცავს შემდეგს:

- საკუთრება / უფლება აკვიზიცია ნაგავსაყრელის მთელი პერიმეტრის და ბუფერული ზონის ქვეშ მოყოლილი მიწის.
- სამშენებლო სამუშაოების განხორციელების შეზღუდა სანიტარულ ზონაში მოყოლილ ტერიტორიაზე.




სქემა 5-3. ახალი ნაგავსაყრელის მდებარეობა ცეცხლაურში

## 5.2. სოციალური გავლენის შეფასება, როემლის მიხედვითაც შემუშვდება საარსებო გარემოს აღდგენისა და განსახლების ჩარჩო დოკუმენტი LRRF

სოციალური გავლენის შემფასებელ ჯგუფთან დისკუსიის საფუძველზე და ჩვენს მიერ განხორციელებულ შესწავლას, შემდეგი ტიპის უარყოფითი გავლენა შესაძლებელია გამოიწვიოს პროექტის განხორციელებამ:

- ნაგავსაყრელზე არსებული კონსტრუქციების დანგრევას, რომელმაც შესაძლებელია გამოიწვიოს მუდმივი იმპროვიზებული საცხოვრებელი გარემოს დაკარგვა ან დროებითი თავშესაფრების მოშლა (9 თავშესაფარია ბათუმის ნაგავსაყრელის ჩრდილოეთ ნაწილში, 1 თავშესაფარი სამხრეთ ნაწილში, 1 საცხოვრებელი სახლი ქობულეთის ძველი ნაგავსაყრელის შესასვლელთან);
- ნაგავსაყრელის დახურვით გამოწვეული შემოსავლის კარგვა ნარჩენების გადამრჩევებისათვის, რომლებიც ამჟამად მუშაობენ ბათუმის და ქობულეთის მოქმედ ნაგავსაყრელზე (30-70 ნარჩენების შემგროვებლები ბათუმის ნაგავსაყრელზე და 10-მდე შემგროვებელი ქობულეთის მოქმედ ნაგავსაყრელზე, ნარჩენების შეგროვება არ ხდება ქობულეთის ძველ ნაგავსაყრელზე).
- მიწის დაკარგვით გამოწვეულია ზარალი, მიწის მესაკუთრეებისა და მოსარგაბლეებისათვის, რომლებიც ამჟამად ამუშავებენ მიწის ნაკვეთს ახალი ნაგავსაყრელის ტერიტორიაზე.
- სახლკარის დაკარგვით გამოწვეული ზარალი იმ ადამინებისათვის/ოჯახებისათვის რომლებიც ცხოვრობენ ნაგავსაყრელის სანიტარულ ზონაში;
- სასოფლო სამეურნეო კულტურების და ხეების დაკარგვა ;
- საძოვრების დაკარგავა ;
- სამშენებლო საქმიანობების შეზღუდვა ნაგავსაყრელთან ახლოს.

## 5.3. პროექტით დაზარალებული პირები (PAPs)

ეროვნული კანონმდებლობის თანახმად და სახელმწიფო პრაქტიკიდან გამომდინარე შემდეგი კრიტერიუმები გამოიყენება რომ განისაზღვროს პროექტით დაზარალებული პირები PAPs:

ცხრილი 5-1. პროექტით დაზარალებული პირები – საქართველოს კანონმდებლობა

| გავლენის ობიექტები | კრიტერიუმი | კანონით დაგენილია უზრუნველყოფა |
|---|---|---|
| მიწის საკუთრების/ სარგებლობის უფლება | კანონიერი მესაკუთრე და მოსარგებლე (შეუძლიათ ნოტარიალურად დაირეგისტრირონ) | - კომპენსაცია მიწის საფასურით განსაზღვრული |
| სახლები/ თავშესაფრები | კანონიერი მესაკუთრე, მოსარგებლე | - კომპენსაცია სახლისა და მეურნეობაში არსებული ყველა ნაგებობის ღირებულების შესაბამისად |
| სასოფლო სამეურნეო კულტურები/ხე | დაზანებული სასოფლო სამეუნეო კულტურა – მუდმივი ან დროებით | - კომპენსაცია დროებითი დანაკარგისათვის (დამოკიდებულია პროექტის მშენებლობის ხანგრძლივობაზე)<br>- კომპენსაცია ხეების (მუდმივი) დანაკარგისთვის დაზიანებისთვის (დამოკიდებული ხის ტიპზე) |

ზემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმებიდან გამომდინარე პროექტის კონტექტის მიხედვით განისაზღვრა შემდეგი PAPs :

a) ახალი ნაგავსაყრელის მშენებლობისათვის საჭირო მიწის კანონიერი მესაკუთრეები,;
b) კანონიერი მფლობელები იმ მიწების, რომლებიც მდებარეობენ ახალი ნაგავსაყრელის სანიტარულ ზონაში;
c) მიწის მოსარგებლეები, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან ადგილობრივ მუნიციპალიტეტში, რომ ისინი იყენებენ მიწის ნაკვეთს ნაგავსაყრელის პერიმეტრზე (მომავალი ნაგავსაყრელის შემოღობილი ფართობი, რომელიც მოიცავს ნაგავსაყრელის ძირიტად ნაწილს და დამხმარე ობიექტებს - დდახლოებიტ 32 ჰა);
d) მიწის მოსარგებლეები რომლებიც ადგილობრივ მუნიციპალიტეტებში არიან რეგისტრირებულნი და მდებარეობენ ახალი ნაგავსაყრელის სანიტარულ ზონაში;
e) ნაგავსაყრელის პერიმეტრზე და სანიტარულ ზონაში მდებარე სახლკარის მფლობელები.

EBRD ის მოთხოვნების შესაბამისად დამატებითი კრიტერიუმები, რომელიც ადგენს PAPs და რომელიც შესწავლილ:

ცხრილი 5-2. პროექტის გავლენის ქვეშ მყოფი პირები – EBRD დებულება/მოთხოვნა

| გავლენის ობიექტები | კრიტერიუმები | EBRD დებულება/ მოთხოვნა |
|---|---|---|
| საარსებო გარემო | - ნაგავსაყრელის დახურვით გამოწვეული შემოსავლის შემცირება / რეციკლირებადი ნარჩენების შეგროვება | - ყველა ადამიანი რომელთა საცხოვრებელი გარემო განიცდის გავლენას ნაგავსაყრელის დახურვით / გახსნით უნდა მიიღოს კომპენსაცია ზარალისა და სოციალურ ეკონომიკური მდგომარეობის შესაბამისად ;<br>- მინიმუმ 2 ვარიანტი უნდა იქნას შეთავაზებული PAPs;<br>- კონსულტაციის პროცესი უნდა დაიწყოს შეძლებისდაგვარად სწრაფად PAPs თან და სასურველია დაგეგმვის საწყის ეტაპზე;<br>- მატრიცის საჯარო განხილვა ;<br>- სამართლიანი კომპენსაცია ; |
| ეკონომიკური აქტივობები | - დადასტურებული ზარალი ნაგავსაყრელის დახურვით გამოწვეული | - ზარალის სრული კომპენსაცია |
| მიწა და სახლკარი შიდამეურნეობა | მიწის მესაკუთრე / მოსარგებლე | - კანონკიერ მოსარგებლეთა სრული კომპენსაცია |
| სასოფლო სამეურნეო სავარგულები | მიწის მესაკუთრე / მოსარგებლე | - დროებითი ზარალის კომპენსაცია (დამოკიდებულია პროექტის სამშენებლო პერიოდის ხანგრძლივობაზე)<br>- კომპენსაცია ზარალის რომელიც არ აღდგება |

| | | |
|---|---|---|
| | | მუდმივია (დამოკიდებულია მცენარეული საფარის ტიპზე) |

ზემოთ მოყვანილი კრიტერიუმების შესაბამისად შემდეგი დაზარებული ჯგუფები PAPs განისაზღვრება:

a) ნარჩენების შემგროვებლები ბათუმისა და ქობულეთის ნაგავსაყრელზე ;

b) უკანონო/არაფორმალური მიწათმოსარგებლეები პროექტის განხორციელების ტერიტორიიდან;

c) სახლების/თავშესაფრების მფლობელები, რომლებიც მდებარეობენ პროექტის გავლენის ტერიტორიაზე, არააქვს მნიშვნელობა მათ სატუსს (კანონიერი თუ უკანონო)

# 6. საარსებო გარემოს აღდგენისა და განსახლების მირითადი პრინციპები

პროექტის განხორციელებისას განსახლებისა და კომპენსაციის დროს შემდეგი პრინციპები უნდა იქნას გათვალისწინებული :

- მიწის აკვიზიციის და იძულებითი განსახლება შესაძლებელია თავიდან იქნას არიდებული ან მინიმიზირებული თუ მხედველობაში იქნება მიღებული და განხილული შესაძლო ალტერნატიული გზები პროექტის შემუსავებისას;
- სადაც ვერ მოხერხდება ტავიდან იქნას აცილებული, განსახლების სამოქმედო გეგმა / საარსებო გარემოს არდგენის ჩარჩო დოკუმენტი უნდა შემუშავდეს და დაზარალებული პირებს გაეწიოტ დახმარება გაიუმჯობესონ საცხოვრებელი პირობები, ან მინიმუმ აღიდგინონ ის მდგომარეობა რაც პროექტის დაწყებამდე ქონდათ;
- დაზარალებული პირების განსახლება და კომპენსაცია შესაძლოა განხორციელდეს არსებული საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, კერძოდ კანონი ექსპროპრიაციის შესახებ და 2008 წლის EBRD გარემოს დაცვის და სოციალური საკითხების სესახებ დებულებით
- მიწის შესყიდვა მოხდება შეძლებისდაგვარად შთანხმებული კონტრაქტის შესაბამისად. ექსპროპრიაციის პროცესი იქნება გამოყენებული მაშინ როდესაც ყველა მოლაპარაკების პროცესი უსედეგო იქნება;
- კონსულტაციები შესაძლებელია განხორციელდეს პროექტის გავლენის ქვეშ მოყოლილ პირებთან, განსახლებასთან დაკავშირებული ინფორმაცია შესაძლებელია იქნას გამოქვეყნებული, შეთავაზებული იქნება ტექნიკურად და ეკონომიკურად ადეკვატური ვარიანტები;
- მეტად მოწყვლადმა და მნიშვნელოვნი გავლენის ქვეშ მყოფმა პირებმა სესაძლებელია მიიღონ განსაკუთრებული დახმარება ;
- უკანონოდ მიწის მოსარგებლეებმა შესაძლებელია არ მიიღონ კომპენსაცია, მაგრამ მიიღებენ საარსებო შემწეობას მიწის კომენსაციის სანაცვლოდ და სრულად მიიღებენ ზარალის ანაზრაურებას, როემლიც გამოწვეულია პროექტის საქმიანობით;
- განსახლების სამოქმედო გეგმა პროექტიტ დაზარებული ადამიანებისათვის შესაძლოა გამოქვეყნდეს ადგილობრივ ენაზე (ქართულად);
- კანონიერი მიწის მესაკუთრეები, რომლებსაც არააქვთ რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი, მიიღებენ დახმარებას რეგისტრაციისთვის და ლეგალიზება შესაძლოა მოხდეს და სრულად ანაზღაურდეს ზიანი მიყენებული მიწის დაკარგვით; შემოსავლის ანაზრაურებით და რეაბილიტაციით;
- კომპენსაციის პროცესი უნდა დასრულდეს მანამ, სანამ სპეციფიკური სამშენებლო სამუშაოები დაიწყება, რომლისთვისაც საჭიროა განსახლება ;
- კომპენსაციის გადახდა, განსახლბასთან დაკავშირებული დახმარება და რეაბილიტაცია უნდა დასრულდეს მანამ, სანამ ფიზიკური მიწის აქვიზიცია და მსგავსი ტიპის აქტივობები დაიწყება;
- სამართლიანი და ხელმისაწვდომი გასაჩივრების მექანიზმი უნდა შემუშავდეს და დადგინდეს.

# 7. ვალდებულებების მატრიქსი და საარსებო გარემოს ალტერნატივების/კომპენსაციების ვარიანტების აღწერა

## 7.1. ვალდებულებების მატრიქსი

ორი მატრიქსი იქნა შმუშავებული. ერთი PAPs თვის ბათუმის და ქობულეთის ნაგავსაყრელების დახურვის შემთვვევისთვის და ერთი PAPs თვის ახალი ნაგავსაყრელისთვის მიწის აკვიზიციის შემთხვევისთვის .

### ცხრილი 7-1. ვალდებულებების მატრიქსი ნარჩენების შემგროვებლებისთვის

| PAP კატეგორია | პროექტით მიყენებული ზიანის ტიპი უფლება/საკუთრება/ ზარალი | შესაბამისი კანონი / პოლიტიკის დოკუმენტი | ვალდებულება | პროცესი და განსაკუთრებული მდგომარეობა |
|---|---|---|---|---|
| საცხოვრებელი ადგილის /სახლთან დაკავშირებული ზარალი | | | | |
| არაფორმალური სახლების მესაკუთრები ალტერნატიული საცხოვრებლით | იმპროვიზირებული თავშესაფრების (დროებითი ან მუდმივი) და ნივთების დაკარგავა | EBRD დებულება | დახმარება გაეწიოთ და მიეცეთ კომპენსაცია ნივთების ტრანსპორტირებისთვის ნარჩენების შემგროვებლებს ნაგავსაყრელზე (თავშესაფრის, საგნების და სხვა), როდესაც ისინი გადავლენ თავიანთ სახლებში სოფლებში / რეგისტრაციის ადგილებზე<br>+<br>ფულადი კომპენსაცია ან სამშენებლო მასალები რომლიტაც ჰქონდათ მოწყობილი თავშესაფარი | განხორციელდეს აღწერა ყველა PAPs რომლებიც ცხოვრობენ/მუშაობენ ბათუმის ნაგავსაყრელზე. აღწერის შედეგების მიხედვით განისაზღვრიის სასურველი ვარიანტი . |
| არაფორმალური სახლების მესაკუთრები რომელთაც არააქვთ ალტერნატიული საცხოვრებლით | იმპროვიზირებული თავშესაფრების (დროებითი ან მუდმივი) და ნივთების დაკარგავა | საქართველოს კანონმდებლობა სოციალური დახმარების შესახებ და EBRD დებულება | დახმარება გაეწიოს სოციალური თავშესაფარის მოსაპოვებლად იმათ ვისაც არააქვთ სხვა თავშესაფარი<br>+<br>დახმარება გაეწიოთ და მიეცეთ კომპენსაცია ნივთების ტრანსპორტირებისთვის ნარჩენების შემგროვებლებს ნაგავსაყრელზე (თავშესაფრის, საგნების და სხვა),<br>ან<br>მიეცეთ სასოფლო სამეურნეო მიწის ნაკვეთი, სადაც ისინი შეძლებენ თავიანთი თავშესაფრის გადატანას (ვისაც არც სახლი აქვს და არც მიწის ნაკვეთი და სურთ მეურნეობის მოწყობა)<br>+<br>აუნაზრაურდეთ ტრანსპორტის ხარჯი თავშესაფრის გადასატანად<br>+<br>დროებით ღამის გასათევ ტავსესაფრების შეთავაზება რომელიც არის ბათუმში | შედგეს თანამშრომლობის შეთანხმება მუნიციპალიტეტთან, რათა მოხდეს სოციალური თავშესაფრების ვარიანტების დადგენა და ასევე მიწის ნაკვეთის შეთავაზების შესაძლებლობა PAPs თვის რომელთაც არააქვთ ალტერნატიული თავშესაფარი პრიორიტეტი ინდა მიენიჭოს პატარა ბავშვებიან და ფეხმძიმე ქალებიან ოჯახებს . |
| შემოსავლის დაკარგვა | | | | |
| ნარჩენების შემგროვებლები | შემოსავლის წყაროსთან მისვლის შესაძლებლობის დაკარგვა | საქართველოს სოციალური დახმარების კანონმდებლობა და EBRD-ის პოლიტიკის დოკუმენტი/დებულება | უზრუნველყონ ნაგავსაყრელის დახურვამდე შესვლის ნებართვა<br>+<br>შეთავაზებულ იქნას ოფიციალური სამუშაო ჰიგიენა 2009 ში (შეიძლება შეთავაზებულ იქნას სწავლება საჭიროების შემთხვევაში)<br><br>**ან**<br>შეთავაზებულ იქნას ოფიციალური სამუშაო ნარჩენების დასუფთავების სამსახურში ან სხვაგან ნარჩენების | დროულად მოხდეს დაკავშირება ნარჩენების შემგროვებელ კომპანიასთან სამუშაოს შეთავაზებისთვის.<br><br>სპეციფიკური დებულებები რომლითაც ნარჩენების შემგროვებლები სოციალურ სერვისის ხელმისაწვდომობას გულისხმობს უნდა მოხდეს ადგილობრივი მუნიციპალიტეტთან თანამშრომლობით . |

| PAP კატეგორია | პროექტით მიყენებული ზიანის ტიპი უფლება/საკუთრება/ ზარალი | შესაბამისი კანონი / პოლიტიკის დოკუმენტი | ვალდებულება | პროცესი და განსაკუთრებული მდგომარეობა |
|---|---|---|---|---|
| | | | მართვის სფეროში<br><br>**ან**<br>შეთავაზებულ იქნას პროფესიული გადამზადების კურსები და დახმერბა გაეწიოთ ახალი სამუშაოს მოძიებაში<br>+<br>დახმარება გაეწიოთ სოაციალურ სერვისიებით სარგებლობის შესაძლებლობაში | |

## ცხრილი 7-2. ვალდებულებების მატრიქსი მიწის აკვიზიციასთან დაკავშირების ახალ ნაგავსაყრელზე ცეცხლაურში

| კატეგორია PAP | პროექტის გავლენით გამოწვეული ზარალი Type of Project affected right or property or loss | შესაბამისი კანონმდებლობა / პოლიტიკის ჩარჩო დოკუმენტი | ვალდებულება | პროცესი და სპეციფიური მდგომარეობა |
|---|---|---|---|---|
| მიწასთან დაკავშირებული ზარალი | | | | |
